საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №146/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 14 დეკემბრის №146 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 10 თებერვლის №146/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს მიკერძოებულად და საქმის განხილვა ცალსახად ემსახურება ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას. კერძოდ, საჩივრის ავტორის შეფასებით:

- მოსამართლე არაერთხელ შეესწრო საქმის გამომძიებლის მიერ სასამართლოსთვის ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტს, რომელიც რეაგირების გარეშე დატოვა;
- მოსამართლეს აქვს მეგობრული ურთიერთობები პროცესის მონაწილე პირებთან, რაც საჩივრის ავტორის შეფასებით, აშკარად იგრძნობოდა სასამართლო განხილვის პროცესში;
- მოსამართლემ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის მიმართ გამოიჩინა უპატივცემულობა და ირონიული დამოკიდებულება;
- მოსამართლემ საჯაროდ გამოხატა აზრი სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, 2019 წლის 28 თებერვალს სისხლის სამართლის საქმე №-- -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

სასამართლოში ბრალდების მხარეს წარმოადგენდა პროკურორი -- --, ხოლო დაცვის მხარეს - ბრალდებული -- -- და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი -- --.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლო სხდომის ოქმების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლე -- -- მიერ სასამართლო სხდომები ჩატარდა: 2019 წლის 13 მარტს; 2019 წლის 21 მაისს;

2019 წლის 4 ივნისს; 2019 წლის 4 სექტემბერს; 2019 წლის 31 ოქტომბერს; 2019 წლის 4 დეკემბერს; 2020 წლის 2 ივლისს; 2020 წლის 2 სექტემბერს; 2020 წლის 29 ოქტომბერს; 2020 წლის 13 ნოემბერს; 2020 წლის 26 ნოემბერს; 2020 წლის 27 ნეომბერს; 2020 წლის 30 ნოემბერს; 2020 წლის 4 დეკემბერს; 2020 წლის 7 დეკემბერს; 2020 წლის 11 დეკემბერს; 2020 წლის 14 დეკემბერს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 10 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 14 დეკემბრის №146 საჩივრის საფუძველზე საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამასთან, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.[1]

განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინურ საჩივარში მითითებული გარემოებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მნიშვნელოვანია შეფასდეს ხომ არ იკვეთება მოსამართლის მხრიდან მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევა.

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა და კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები. მოსამართლის მიუკერძოებლობა გულისხმობს როგორც რეალურ მიუკერძოებლობას, ასევე გარეშე დამკვირვებლისაგან მის ასეთად აღქმას.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე უნდა

[1] დასაბუთებული ვარაუდი - ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა;

შთააგონებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-2 ღირებულება არის „მიუკერძოებლობა“, რომლის თანახმად, მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც, რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ამ პრინციპის გამოყენების 2.1. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური თვალსაზრისით, ანუ სასამართლოს არცერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა. პირადი მიუკერძოებლობა იგულისხმება, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულებები; მეორე, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამ კრიტერიუმის თანახმად, აუცილებელია, განისაზღვროს, მოსამართლის ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ აღიქმება ეს საკითხები. სასწორზე ხომ ის ნდობა დევს, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ყოველ წევრს, ბრალდებულების ჩათვლით, უნდა ჰქონდეს სასამართლოსადმი.

იმის განსაზღვრისას, არსებობს თუ არა საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის მიუკერძოებლობაში, ბრალდებულის აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ენიჭება იმას, არის თუ არა ამგვარი ეჭვი ობიექტურად დასაბუთებული საღად მოაზროვნე დამკვირვებლის აზრით, რომელიც საზოგადოების წარმომადგენელია.[2]

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის პროცესში, ბრალდებული -- -- სისტემატიურად უპატივცემულო, ცინიკურ დამოკიდებულებას იჩენდა სასამართლოსა და ბრალდების მხარის მიმართ, რის საფუძველზეც მოსამართლემ არაერთხელ მისცა შენიშვნა ბრალდებულს. კერძოდ, სასამართლოს მხრიდან, სხდომათა დარბაზში ბრალდებულს შენიშვნა მიეცა: 2019 წლის 21 მაისის, 4 სექტემბრის, 31 ოქტომბრის, 2020 წლის 2 ივლისის და 2 სექტემბრის სასამართლო სხდომებზე. 2020 წლის 2 სექტემბერს ბრალდებული ასევე გაძევებულ იქნა სხდომათა დარბაზიდან, სხდომათა დარბაზში წესრიგის დარღვევისთვის.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომვდევნო სასამართლო სხდომაზე, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ბრალდებული დაუშვა სასამართლო განხილვაზე. მიუხედავად, მოსამართლის გადაწყვეტილებისა ბრალდებულის სხდომათა დარბაზში დაშვების შესახებ, -- -- კვლავ განაგრძობდა სასამართლოში წესრიგის დარღვევას მომდევნო სასამართლო სხდომებზე.

[2] იხ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები“ გვ. 91 პუნქტები 53-54
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf

განსახილველ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის შესწავლის ფარგლებში, არ გამოვლენილა რაიმე ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც დაასაბუთებდა მოსამართლის შესაძლო მიკერძოების ფაქტს და დააკმაყოფილებდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. ამასთან, არ დასტურდება მოსამართლის მხრიდან მხარეებთან მეგობრული ურთიერთობის, საქმესთან დაკავშირებით აზრის საჯაროდ დაფიქსირების, ბრალდებულის მიმართ არაეთიკური მიმართვის დამადასტურებელი ფაქტები.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასებით, მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №146/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი